



წერილის ნომერი: 03-522305437
თარიღი: 23/02/2023

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილება-განყოფილების უფროსი

ადრესატი:

მარინე თედიაშვილი

ქალბატონო მარინე,

№05-5223037102 წერილის პასუხად, წარმოგიდგინებ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის სამუშაოებზე გამოყოფილ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის მიზეზებს:

- მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით ტექნიკისა (გრეიდერი, ექსკავატორ დამტვირთველი, ავტოთვითმცლელი, გრუნტის სატკეპნი) და მათი ოპერატორების დაქირავების/მომსახურება - სამუშაოები დასრულებულია.
- სოფელ მუხროვანის ჭაბურღილის და კომკურა რეზერვუარის სამუშაოები - ხელშეკრულება შეჩერებულია, ჭაბურღილში დაფიქსირებული ნავთობის გამო.
- სოფელ მარიამჯვარში სატუმბი სადგურის, რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები - ვადაშია, მიწოდების ვადა - 17.03.2023 წ.
- საგარეჯოში ს/კ 55.63.000.015 მიმდებარედ ჭაბურღილის და სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები - სამუშაოები დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის რადგან დასკვნა არ მოსულა.
- სოფელ თოხლიაურში სასაფლაოს შემოღობვა - სამუშაოები შეჩერებულია, საზედამხედველო კომპანიასთან ხელშეკრულების დადებაზე.
- კოდას საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურის მოწყობით კერძოდ, ტერასისა და კოტეჯების მოწყობის სამუშაოები - ვადაგადაცილებულია.
- სოფელ უდაბნოს სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების დასრულება - ვადაშია, მიწოდების ვადა - 2023 წლის 24.02.2022.
- ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქუჩა N178-ის ეზოში სკვერის მოწყობის სამუშაოები - ვადაშია, სამუშაოები მიმდინარეობს.
- სოფელ გიორგიშინდაში ე.წ „გუგუტიაანთ უბანში“ სკვერის მოწყობის სამუშაოები - ვადაშია, სამუშაოები მიმდინარეობს.
- ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობის სამუშაოები - ვადაგადაცილებულია.
- სოფელ წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაფართოვების (ორი ოთახის მიშენება) სამუშაოები - შეწყვეტილია, არ გახდა საჭირო სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.
- ქ. საგარეჯოში ს/კ 55.12.52.126 მიწის ნაკვეთზე ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - ვადაგადაცილებულია.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის შენობის მშენებლობის სამუშაოები - მიმდინარეობს სამუშაოები, ვადაშია.
- სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოები - ვადაგადაცილებულია.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ თოხლიაურში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - დასრულებულია, ველოდებით ანარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას.
- სოფელ ბადიაურში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - ხელშეკრულება შეჩერებულია ადგილმდებარეობის შერჩევის პროცესის გამო.
- ქ საგარეჯოში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის ინვენტარის შესყიდვა - დასრულებულია.
- სოფელ ხაშში მწერალ რევაზ ინანიშვილის სახელ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-აღდგენის

სამუშაოები - სამუშაოები დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის რადგან დასკვნა არ მოსულა.

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოს ააიპ საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსისა და საცურაო აუზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები - ვადაშია, მიწოდების ვადა - 14.03.2023
- სოფელ წყაროსთავში ე.წ „ბეჟიტაანთ უბანში“ სკვერის მოწყობის სამუშაოები - ვადაშია, მინდინარეობს სამუშაოები.
- სოფელ უდაბნოს სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები - ვადაშია, მინდინარეობს სამუშაოები.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოში მერაბ კოსტავას ქუჩის N 14-16-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის რადგან დასკვნა არ მოსულა.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კახეთის გზადკვეცილის N11-13-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის რადგან დასკვნა არ მოსულა.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კიკვიძის ქუჩაზე ე.წ „ზვარე“-ს ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის რადგან დასკვნა არ მოსულა.

პატივისცემით,

მაგდა ხვთისაგრიშვილი

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური-ინფრასტრუქტურის განყოფილება-უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში